DisboFLOOR 475 E.MI PLUS
2K-EP-Verlaufsbeschichtung

შემცირებული ემისიების მქონე, პიგმენტირებული ეპოქსიდური ფისის დანაფარები. უნივერსალური - თითქმის ყველა სახის იატაკის ზედაპირისთვის.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

საშუალო და ძლიერი მექანიკური დატვირთვების ქვეშ მყოფი, მინერალური იატაკის ზედაპირებისთვის, როგორიცაა: დარბაზები, სასადილოები, დერეფნები, საწყობები და გაყიდვის ზონები კვების მრეწველობაში.

პროდუქტი შემოწმებულია სამშენებლო მასალების სანიტარულ-ჰიგიენური შეფასების კომიტეტის (AgBB) კრიტერიუმების შესაბამისად - ემისიაზე (გაფრქვევა) და აქროლადი ორგანული შენაერთების ემისიაზე (VOC). AgBB-ის შეფასების სქემა შემუშავდა გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ - მგრძნობიარე სივრცეებში სამშენებლო მასალების გამოყენებისთვის.

თვისებები

- შემცირებული ემისიები შემადგენლობაში (დამოწმებულია: AgBB-konform & Eurofins IAC Gold)
- ალკილფენოლის გარეშე
- ქიმიური ნივთიერებების მიმართ კარგი მედეგობა

მასალის შემკვრელი

2 კომპონენტიანი ეპოქსიდური ფისი, სრულიად მყარი - გერმანული სამშენებლო ქიმიის მიხედვით

შეფუთვის ზომები

10 კგ. და 30 კგ.

ფერი

10 კგ კონტეინერი:
ნაცრისფერი:
RAL 7030 (Steingrau), RAL 7032 (Kieselgrau), RAL 7035 (Lichtgrau)

30 კგ კონტეინერი:
ნაცრისფერი:
RAL 7016 (Anthrazitgrau), RAL 7023 (Betongrau), RAL 7030 (Steingrau), RAL 7032 (Kieselgrau), RAL 7035 (Lichtgrau), RAL 7037 (Staubgrau), RAL 7038 (Achatgrau), RAL 7040 (Fenstergrau), RAL 7042 (Verkehrsgrau A), RAL 7043(Verkehrsgrau B)

ინდივიდუალური ფერები შეკვეთით.

სიპრიალის ხარისხი

პრიალა

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას.
ორიგინალ/დახურულ შეფუთვაში შენახული პროდუქტის ვარგისიანობის ვადა სულ მცირე 1 წელია. დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში, გამოყენებამდე მასალა შეინახეთ დაახლ. 20°C ტემპერატურაზე.

ტექნიკური პარამეტრები

- სიმჭიდროვე: დაახლ. 1,51 გ/სმ3
- მშრალი ფენის სისქე: დაახლ. 66 µm/100 გ/მ2
- გაცვეთის მაჩვენებელი ტაბერის მიხედვით (CS 10/1000 U/1000 g): დაახლ. 39 მგ/30 სმ2
- სიმყარე-შორის მიხედვით(A/D): დაახლ. D 85
- კომპრესიული ძალა: დაახლ. 100 ნ/მმ2
  (DIN EN ISO 604-ზე დაყრდნობით, 20% შეკუმშვის დროს)
- სიბლანტე: დაახლ. 2.600 mPas

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ბეტონი, ცემენტი და მყარი ეპოქსიდური დანაფარები.

ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, სუფთა და თავისუფალი ადჰეზიური/გამყოფი ნივთიერებებისაგან (ზეთები, ცხიმები, მტვერი, ფხვიერი ნაწილაკები და ა.შ).

ზედაპირის გაჭიმვის სიძლიერე უნდა იყოს საშუალოდ 1.5 N / მმ2. ყველაზე მცირე ერთეული მნიშვნელობა არ უნდა იყოს 1.0 N / მმ2– ზე დაბალი.

ზედაპირებმა უნდა მიაღწიონ თანაბარ ტენიანობას: ბეტონი და ცემენტი: მაქს. წონის 4% (CM-ის მეთოდი).

ზედაპირის მომზადება

წყლის ჭავლების საშუალებით ან მშრალი მექანიკური წესით დანაფარის საწინააღმდეგო მიმართულებით მთლიანად მოაცილეთ ატკეცილი ფრაგმენტები, ჭუჭყის ნალექი, ხავსი და წყალმცენარეები. გაწმენდის შემდეგ ზედაპირი უნდა იყოს მყარი, სუფთა, მზიდუნარიანი და ანტიადჰეზიური ნივთიერებებისგან თავისუფალი. ფორები და ღრუები უნდა გაიხსნას, ზედაპირს უნდა ჰქონდეს წვრილმარცვლოვანი სტრუქტურა.

მასალის მომზადება

კომპონენტი B (გასამყარებელი) დაამატეთ კომპონენტს A (ძირითადი მასა). ინტენსიურად შეურიეთ, ნელა მბრუნავ სარევში (მაქსიმუმ 400 U/წთ.) მასალა გადაიტანეთ სხვა ჭურჭელში (საცავში) და კვლავ საფუძვლიანად აურიეთ.

ვერტიკალური და დახრილი ზედაპირების დამუშავებისთვის, შესაძლებელია მასალაში 3 წონა.-% პროდუქტის: DisboADD 952-ის დამატება.

შერევის კოეფიციენტი

კომპონენტი A : კომპონენტი B = 82 : 18 ნაწილები წონის მიხედვით.

დატანის მეთოდები

მასალის დატანა შესაძლებელია - მოკლე ან საშუალო ბეწვიანი გორგოლაჭით, ან დაკბილული შპატელით.

დაფარვის სტრუქტურა

საგრუნტი დანაფარი
მინერალური ზედაპირები დაგრუნტეთ DisboPOX 420 E.MI PLUS-ით ფორების სრული დაფარვით. უხეშ ზედაპირებზე, დანაფარები დამატებით გაათანაბრეთ საგლუვი ქაფჩით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ პროდუქტის: von DisboPOX 420 E.MI PLUS-ის ტექნიკურ ინფორმაციაში.

ძირითადი დანაფარი

მასალის გორგოლაჭით დატანა
DisboFLOOR 475 E.MI PLUS-ი დაასხით დაგრუნტულ ზედაპირს და გაანაწილეთ პერიმეტრზე საგლუვი ქაფჩით ან დაკბილული შპატელით (2მმ). შემდეგ დანაფარებს გადაატარეთ საშუალო ბეწვიანი გორგოლაჭი - ჯვარედინი სვლით. საჭიროების შემთხვევაში გაიმეორეთ/დაიტანეთ მე - 2 ფენა.

მექანიკური დატვირთვების მიმართ უკიდურესად მედეგი დანაფარი
DisboFLOOR 475 E.MI PLUS-ი დაასხით დაგრუნტულ ზედაპირს და გაანაწილეთ მყარი რეზინის დაკბილული შპატელით მთელს პერიმეტრზე. >1,5 მმ-იანი ფენის სისქის შემთხვევაში, შესაძლოა მასალაში 50 წონა-% -მდე პროდუქტის: DisboADD 941 Quarzsandmischung (კვარცის ქვიშის ნარევი) -ის დამატება (0,06–0,3 მმ).

დეკორატიული გაფორმება (სურვილისამებრ):

- DisboADD 8255 Farb-Chips (1-2 მმ)

- DisboADD 955 Mattierungsmittel

- DisboPUR W 458 2K-PU-Versiegelung, მქრქალი

- DisboPUR W 458 2K-PU-Versiegelung, მქრქალი + DisboADD 947 მინის ბურთულები, თხელი - DisboPUR W 357 2K-PU-Versiegelung აბრეშუმისებრი მქრქალი.

კვარცული ქვიშით მოყრილი დანაფარი
დაასხით მასალა დაგრუნტულ ზედაპირს და გაანაწილეთ შესაფერისი შპატელით. შემდეგ სრულ პერიმეტრზე მოაყარეთ კვარცული ქვიშა/პროდუტები: DisboADD 943 Quarzsandmischung (0,4–0,8 მმ) ან DisboADD 944 Quarzsandmischung (0,7–1,2 მმ). დანაფარების გამაგრების შემდეგ, მოაცილეთ ზედმეტი ქვიშა და დაასხით DisboFLOOR 475 E.MI PLUS ზედაპირს, რეზინის შპატელით გაანაწილეთ და გაათანაბრეთ. დასასრულს დანაფარებს გადაატარეთ საშუალო ბეწვიანი გორგოლაჭი - ჯვარედინი სვლით.

ხარჯი

საგრუნტი დანაფარი *DisboPOX 420 E.MI PLUS*	დაახლ. 300 - 400 გ/მ2
გორგოლაჭით დატანა	
DisboFLOOR 475 E.MI PLUS	დაახლ. 400 - 500 გ/მ2
მექანიკური დატვირთვების მიმართ მედეგი დანაფარი	
1 მმ ფენის სისქე DisboFLOOR 475 E.MI PLUS *2 mm Schichtdicke (50 % ქვიშის დამატებისას):* DisboFLOOR 475 E.MI PLUS DisboADD 941 Quarzsandmischung	 დაახლ. 1,5 კგ/მ² დაახლ. 2,2 კგ/მ² დაახლ. 1,1 კგ/მ² *
კვარცული ქვიშით მოყრილი დანაფარი	
კვარცული ქვიშით მოყრილი დანაფარის ფენა	
DisboFLOOR 475 E.MI PLUS	მინ. 0,8 კგ/მ2 **
კვარცული ქვიშის მოყრა	
DisboADD 943 Quarzsandmischung ან DisboADD 944 Quarzsandmischung	დაახლ. 3–5 კგ/მ2
დამასრულებელი დანაფარი	
DisboFLOOR 475 E.MI PLUS	დაახლ. 0,7 - 1,0 კგ/მ²

* დაბალი ტემპერატურის პირობებში, თხელი ფენის სისქის შემთხვევაში, სხვა კვარცული ქვიშის გამოყენებისას ან ინდივიდუალური ფერების გამოყენებისას, შესაძლოა საჭირო გახდეს კვარცული ქვიშის წილის შემცირება. ზუსტი ხარჯი განისაზღვრება საცდელი დატანის გზით.

** ხარჯი დამოკიდებულია სასურველ ფენის სისქეზე. კვარცის ქვიშის მოყრის შემთხვევაში, ფენის სისქე იზრდება დაახლ.100%-ით - ჩვეულებრივ დანაფარებთან შედარებით.

გამოყენების დრო

გამოყენების დრო	
20° C - ტემპერატურის პირობებში	**30° C - ტემპერატურის პირობებში**
დაახლ. 45 წუთი	დაახლ. 20 წუთი

გამოყენების პირობები

მასალის, ცირკულირებადი ჰაერის და ზედაპირის ტემპერატურა:
მინიმალური - 15 ° C, მაქსიმალური - 30 ° C.
ჰაერის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 80%.-ს. ზედაპირის ტემპერატურა არანაკლებ 3 °C-ით უნდა აღემატებოდეს ნამის წერტილის ტემპერატურას.

სამუშაო პროცესებს შორის ლოდინის პერიოდი

სამუშაო პროცესებს შორის ინტერვალის დასაშვები დრო	
20° C - ტემპერატურის პირობებში	**30° C - ტემპერატურის პირობებში**
დაახლ. 24 საათი	დაახლ. 16 საათი

შრობის დრო

შრობის დრო, მექანიკური/ქიმიური დატვირთვებისადმი სრულ მედეგობამდე	
20° C - ტემპერატურის პირობებში	**30° C - ტემპერატურის პირობებში**
დაახლ. 7 დღე	დაახლ. 5 დღე

ხელსაწყოების წმენდა

სამუშაოს დასრულებისას, ან ხანგრძლივი შესვენების დროს, ხელსაწყოები დაუყოვნებლივ გაწმინდეთ პროდუქტით: DisboADD 419.

მითითებები

სერთიფიკატები	აქტუალური სერთიფიკატები ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში.
შენიშვნები	დანაფარების სტრუქტურისა და შრობის პირობებიდან გამომდინარე, დანაფარის ზედაპირზე შესაძლოა წარმოიქმნას მქრქალი, წყალდისპერსიული ნადები, რაც უარყოფითად არ იმოქმედებს განმეორებით დანაფარებზე. ნადები ადვილად იწმინდება. ულტრაიისფერი გამოსხივების და ამინდის ზემოქმედებისას, შესაძლებელია ფერის და ფაქტურის ცვლილება. ასევე ორგანულმა საღებავებმა (მაგალითად: ყავა, წითელი ღვინო და ფოთლები) , ან ქიმიურმა ნივთიერებებმა (მაგალითად: სადეზინფექციო საშუალებები, მჟავები და ა.შ) შესაძლოა გამოიწვიოს ფერის ცვლილება. ეს არ ახდენს გავლენას მასალის ეფექტურობასა და ექსპლუატაციის თვისებებზე. შეფერადებული საღებავით დიდი ზედაპირების შეღებვისას, ყოველთვის გამოიყენეთ ერთი ჩარჯის ნომერით წარმოებული შეფუთვა.
უსაფრთხო მოხმარების წესები	პროდუქტი განკუთვნილია მხოლოდ სამრეწველო და პროფესიული მოხმარებისთვის. *კომპონენტი A (ძირითადი მასა):* იწვევს კანის გაღიზიანებას. შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები. იწვევს სერიოზულ თვალის დაზიანებას - ატარეთ დამცავი სათვალე. მომწამვლელია წყლის ორგანიზმებისთვის, ხანგრძლივი ზემოქმედებით. მოარიდეთ თვალებთან კონტაქტს, კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრას. გამოყენების შემდეგ საფუძვლიანად დაიბანეთ კანი. არ დაუშვათ გარემოში და ნიადაგში მოხვედრა. ატარეთ დამცავი ხელთათმანები და სათვალე. თვალების ხანგრძლივი გაღიზიანების შემთხვევაში: მიმართეთ ექიმს. სამუშაო ტანსაცმელი გაიხადეთ და გარეცხეთ შემდეგ გამოყენებამდე. **შეიცავს:** ბის-პროპანი, ბისფენოლ-F ეპოქსიდური ფისი MG <700, ოქსირანი, მონოწარმოებულები, 1,6-ჰექსანდიოლი, რეაქციის პროდუქტები ეპიქლოროჰიდრინთან, კეშიუს (Anacardium occidentale) თხილის ნაჭუჭის ექსტრაქტი, დეკარბოქსილირებული, გამოხდილი, ცხიმოვანი მჟავები, C14-1. C16 18-უჯერი, 2-ფენოქსიეთილის ეთერი, დამუშავებული მალეინის მჟავით, მალეინის ანჰიდრიდით. საფრთხე! მიფრქვევისას შეიძლება წარმოქმნას სასუნთქი გზებისთვის საშიში აირები. არ შეისუნთქოთ წარმოქმნილი ორთქლი/აირები. *კომპონენტი B (გასამყარებელი მასა):* საზიანოა ჯანმრთელობისთვის გადაყლაპვის და შესუნთქვის შემთხვევაში. იწვევს კანის გაღიზიანებას. იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას. შესაძლოა გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია. აღიზიანებს სასუნთქ გზებს. მომწამვლელია წყლის ორგანიზმებისთვის, ხანგრძლივი ზემოქმედებით. მოარიდეთ თვალებთან კონტაქტს, კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრას. ატარეთ დამცავი ხელთათმანები / დამცავი ტანსაცმელი / დამცავი სათვალეები / სახის დაცვა. კანთან ან თმასთან კონტაქტისას: დაუყოვნებლივ გაიხადეთ სამუშაო ტანსაცმელი და საფუძვლიანად ჩამოიბანეთ კანი (თმა). შესუნთქვის შემთხვევაში: გაიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე, იზრუნეთ შეუფერხებელ სუნთქვაზე, სასწრაფოდ მიმართეთ სამედიცინო დახმარებას. თვალებთან კონტაქტის შემთხვევაში: რამოდენიმე წუთის მანძილზე გამოიბანეთ წყლით, კონტაქტური ლინზები გამოიღეთ, განაგრძეთ დაბანა, სასწრაფოდ მიმართეთ სამედიცინო დახმარებას. **შეიცავს:** პოლი-აზა-ალკანების, ჰიდროგენირებული, 1,2-ეთანედიამინი, N-(2-ამინოეთილ)-კარბომონოციკლური, ალკილირებული ნარევები, რეაქციის პროდუქტები გლიციდილ ტოლილეთერთან, 3-ამინოპროპილდიეთილამინთან, 2,2'-ინოდიეთილამინთან.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვები (მასალის ნარჩენების გარეშე). გამაგრებული მასალის ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი ნორმების გათვალისწინებით.
აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)	პროდუქტის კატეგორია (Kat. A/j): 500 გ/ლ. (2010), ეს პროდუქტი შეიცავს არაუმეტეს 35 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
პროდუქტის კოდი:	Giscode: RE30 RE1 (მოძველებული)
დამატებითი ინფორმაცია	იხილეთ პროდუქტის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლები.

CE-მარკირება

CE

Disbon GmbH
Roßdörfer Straße 50, D-64372 Ober-Ramstadt

19

DIS-475-016234
EN 13813:2002
სინთეზური ფისოვანი საფარი ინტერიერში
გამოსაყენებლად
EN 13813:SR-Bfl-s1-B1,5-AR1-IR4

აალების კოეფიციენტი	Bfl-s1
კოროზიული ნივთიერებების გამოყოფა	SR
წყლის გამტარიანობა	NPD
ცვეთამედეგობა	≤ AR1
გაჭიმვის ადჰეზიური ძალა	≥B1,5
დარტყმის მიმართ მედეგობა	≥ IR4

EN 13813
DIN EN 13813 "Screed Mortars, screed compounds and screeds - Screed mortars and screed compounds - თვისებები და მოთხოვნები" (2003 წლის იანვარი) - განსაზღვრავს მოთხოვნებს ხსნაროვანი დანაფარების მიმართ, რომლებიც გამოიყენება ინტერიერის იატაკის კონსტრუქციებისთვის. სინთეზური ფისოვანი საფარები და გამჟღენთები, ასევე უნდა შეესაბამებოდეს ამ სტანდარტებს. პროდუქტები, რომლებიც შეესაბამება ზემოაღნიშნულ სტანდარტს, უნდა იყოს მონიშნული CE მარკირებით

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ "კაპაროლის" ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია "კაპაროლი" სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge